სამშობლო

პარასკევი
25 დეკემბერი
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 მ. ცალკე ნუმერი ერთი შაური, **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 250 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 250

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნიხ ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ქ. ქუთაისი ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ ქ. ქუთაისი

„სამშობლო"-ზე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

ითანამშრომლებენ ეროვნულ დემოკრატიული მიმართულების საუკეთესო ძალები

რადგან ამ დღეებში ქაღალდის ფასმა კიდევ მოიმატა წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მან. ნახევარი წლით 5 მან., სამი თვით 2 მან. და 40 კ. თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კაპ. დამატებით 7 კაპ. პროვინციაში **თვიურათ დაკვეთა არ შეიძლება,** ადგილობრივ კი თვიურათ დაკვეთა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვში.

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს—4 მან., პირველ ივლისს—3 მანეთი და ენკენისთვეში 2 მან.

სოფლის მოამბეებს დასტამბულ კორესპონდენციაში მიეცემათ სასყიდელი.

წერილები უნდა იწერებოდეს ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვეულისა და სუფთა ხელით.

დაწუნებულ წერილმან წერილებსა და ლექსებს რედაქცია არ შეინახავს და არც კისრულობს არავითარ მიწერ-მოწერას მათ შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. თ. ცინცაძე.**

ქვრივი დედა ფედოსია პავლეს ასული ცაგარლისა, ძმები კონსტანტინე და გიორგი და დები: ეკატერინე, ელისაბედი (ლიზა), ნინო და დარიკო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 28 დეკემბერს, მთავარანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი პირველის დაუვიწყარის შვილის, ხოლო დანარჩენთა ძვირფასის ძმის

პავლე სოლომონის ძის ცაგარლის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

განცხადება.

ქუთაისის საზოგადო საკრებულო მოუწოდებს მსურველთ:
1 ეკონომის თანამდებობაზე და 2 საზაფხულო და საზამთრო სადგომებში ბუფეტის მოიჯარადრეს

პირობების გასაგებათ შეუძლიათ მიმართონ მორიგ მამასახლისს ყოველ დღე საღამოს რვა საათიდან თორმეტამდი 20-ს იანვრამდი 1916 წლ.

მამასახლისთა საბჭო 3—2

„ქართული დრამა" **ქალაქის თეატრი.**

სადღესასწაულო რეპერტუარი.

1915 წელი, დეკემბერი, 27

მადამ სან-ჟენ

სარდუსი.

1916 წელი იანვარი.

ღალატი.

სუმბათაშვილისა.

იანვარი 1. ბენ ეფისი ეფ. მესხისა

მ ე დ ე ა.

იანვარი 2.

სამზადისი

ბედნიერი დღე

ირეთელისა (პირველად).

იანვარი 3.

უგვირგვინო მეფენი.

შანშიაშვილისა.

იანვარი 6.

მეფე ლირი

ვ. გუნიას გასტროლი.

ცალკე აფიშები არ გამოვა.

ყველა წარმოდგენები დაიწყება საღამოს 8 საათზე.

3—3 რეჟისორი **შ. დადიანი.**

ექიმი **ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განსაკუთრებით კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახლში. (თ.)

ექიმი **ბ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8 —2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის უოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოკტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.

გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე

ექიმი გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. **ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი.** თ.

ექიმი მულინი

ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.

თბილისის ქუჩა, **№ 70,** სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი **რ. პ. სვანაძის** ასული

მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.

თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯაძის) სახლი.

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი**

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ხალებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: ვენერლის ქუჩა, ლიორთ ქიფიანიძისსახლი. თ

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განსაზღვრა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. **№ 3.** თ.

სტუდენტი **ფილოლოგი ამზადებს და უსწორდება გამოცდისათვის** **თილიძეს,** ზომიერ ფასად. ნახვა შეიძლება ყოველ დღე **2—4 ს.**

გოსპიტლის ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, ბინა ალელოვისა. თ.

ელექტრო **„რადიუმი"** თეატრი

შაბათიდან, 26 დეკემბრიდან ნაჩვენები იქნება ახალი სურათები.

დემონი ბოროტებისა

(ჯეტატორი).

ძლიერი დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან 4 მოქმედებათ. უმთავრეს როლს შეასრულებს **მაქსიმოვი.**

ჯეტატორის სურათი გადაღებულია ზოგი კავკასიაში და ზოგიც მოსკოვში.

პირში ჩალა გამოვლებული. ძლიერ კომიკური.

ანონსი: ორშაბათიდან, 28 დეკ. ნაჩვენები იქნება მხოლოდ სამ დღეს შესანიშნავი სურათი **კაი იულიუს ცეზარი.**

ელექტრო **ამპირი** თეატრი

შაბათიდან, 26 დეკემბრიდან, ნაჩვენები იქნება ახალი სურათები

სინგაპური

ბუნების სანახაობა.

თაყვანისცემა გახრწნილებისა

დრამა 3 მოქმ. („ნორდისკის" ოქროს სერიები) ცნობილ მსახიობის იონგანსენის მონაწილეობით.

კომიკური სურათი. ორმაგი გაყრა ცოლ-ქმრისა. კომიკური სურათი.

ანონსი: ორშაბათიდან, 28 დეკემბრიდან ნაჩვენები იქნება მხოლოდ **მიზ. რდალთათვის** **მოსკოვის ოქროს ძელში.**

ქალაქის თეატრში, 29 დეკემბერს 1915 წ. გაიმართება სუმბათაშვილის დრამის

ღალატი-ს

სალიტერატურო გასამართლება.

გასამართლებული იქნება ყველა გმირი.

მონაწილეობას მიიღებენ: თ-დი მელქ. ფაღავა, კიტა აბაშიძე, გრ. გიორგაძე, დ. უზნაძე, ი. ფომცხავა, ალ. წერეთელი, გ. ჰუბაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, გ. ამაღლობელი, შალვა დადიანი, ავ. ფაღავა, შოთა დადიანი, გრ. ლაღიძე და სხვ.

მსოფლიო ომი.

კავკასიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა. სპარსეთში, ჰამადანის მიმართულებით, რუსის ჯარს შეტაკება მოუხდა სპარსეთის ჟანდარმებთან ჰასან აბადის სამხრეთ-დასავლეთით. ჟანდარმთა რაზმი დამარცხდა და იძულებული გახდა ქალ. კანგავერის ჩრდილოეთისკენ დაეხია.

რუსეთის დასავლეთის ფრონტიდგან იხევ გაურკვეველი ამბავი მოდის. ბრძოლა, როგორც ვსწერდით, ჯერ არ გათავებულა და თანდათან მკაცრ ხასიათს ღებულობს. ავსტრიელებს გამუდმებით იერიშები მოაქვთ, განსაკუთრებით ჩარტორიისკის რაიონში და ზემო სტრიპაზე. ჩერნოვიცის რაიონში ბრძოლა წინანდებური ენერგიით სწარმოებს და არც ერთ მოპირდაპირისთვის ჯერ თვალსაჩინო შედეგი არ მოუტანია. აქ, მიუხედავათ ძლიერი დაბრკოლებისა რუსები წინ მიიწევენ.

ორივე მოპირდაპირე ამ რაიონს (სამხრეთითას) დიდ პოლიტიკურსა და სტრატეგიულ მნიშვნელობას აკუთვნებს. მართლდება ის აზრი, რომ ამ რაიონში გადამწყვეტი ბრძოლა სწარმოებს. სულ მოკლე ხანში გამოირკვევა ამ დიდი ბრძოლის შედეგი და მაშინ, ალბათ, რუმინიაც თავის უკანასკნელ სიტყვას იტყვის. ბრძოლის დანარჩენ ფრონტებზე ცვლილება არ მომხდარა. სჩანს, ყველას ყურადღება რუსეთის სამხრეთის ფრონტს მიუპყრია.

სამხრეთის ფრონტის ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ყველას ეგონა რომ ეს ბრძოლა რამდენიმე დღის განმავლობაში გარკვეულ ხასიათს მიიღებდა და მალე დამთავრდებოდა ერთ-ერთი მოპირდაპირის დამარცხებით ან გამარჯვებით. ახლა კი თანდათან ირკვევა, რომ ბრძოლა გაჭიანურდა, გართულდა და შესაძლოა არც ისე მალე დამთავრდეს. ამის მიზეზი ის არის, რომ, როგორც წინეთაც მოვიხსენეთ, ორივე მოპირდაპირე ამ რაიონს დიდს ყურადღებას აქცევს და ორივეს აქ დიდძალი ჯარისთვის მოუყრია თავი. რომ ბრძოლა აქ გაჭიანურდება და შეიძლება მალეც არ დამთავრდეს, ამას ადასტურებს დღევანდელი დეპეშები.

ზოგიერთ ადგილებში, მდ. პრიპიატის სამხრეთით, რუსებს შეუვიწროებიათ გერმანელები. სტრიპის შუა წელში კი რუსებს შეტევა შეუჩერებიათ და დაკავებულ ადგილებს ამაგრებენ. ამ ნაირათ, ამ რაიონში პოზიციური ბრძოლა იწყება. ინიციატივა ისევ მოპირდაპირის ხელში გადასულა და იერიშებიც დაუწყია დაკარგული ადგილების დასაბრუნებლათ. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით რუსები განაგრძობენ წინსვლას.

კავკასიის ასპარეზზე თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა. მდ. არხავესთან დესანტეს ოსმალოთა ნაწილები, რომელნიც დაბანაკებული იყვნენ სოფ. პატანჯურას მიდამოებში.

* * *

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 23 დეკ. დასავლეთის ფრონტი. პრიპეტის სამხრეთით კუხოცკაგოლის რაიონში ჩვენ შევავიწროვეთ გერმანელები. მდ. სტრიპის შუა მიმდინარეობის რაიონში ჩვენ დამკვიდრდით წართმეულ ადგილებში. მტერი უნაყოფოთ შეეცადა დაებრუნებია წართმეული სიმაგრეები ცდის დროს დიდი ზარალი მივაყენეთ მტერს. ჩერნოვიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით სასტიკი ბრძოლა გძელდება, სადაც ჩვენმა ჯარმა მტრის ახალი პოზიციები დაიკავა. კონტრიერიშები მტრისა მოვიგერიეთ ცეცხლით და დიდათაც დავაზარალეთ. ტყვეთ წამოვიყვანეთ 18 აფიცერი, 1043 ჯარისკაცი და 4 ტყვიისმტყორცნელი.

კავკასიის ასპარეზი.

ზღვის ნაპირა რაიონში, მდ. არხავეზე ჩვენმა ცეცხლმა გაფანტა ჯარის ნაწილები, რომელიც შეჯგუფული იყვნენ სოფელ პატაჯურას ახლოს და აგრეთვე ოსმალოთა ბევრი მიწური და საფარი.

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ომის ამბები.

(ჟურნალ გაზეთებიდან)

ეგვიპტისაკენ გალაშქრება.

როგორც ათინიდან გაზეთებს აუწყებენ გერმანელები ახლო მომავალში ეგვიპტისაკენ გალაშქრებას შეუდგებიან. ამისთვის საჭირო არტილერია და სხვა სამხედრო მასალა მათ უკვე გაგზავნეს სტამბოლს, საიდანაც მცირე აზიაში გადააქვთ. მცირე აზიაში გერმანელები დღედაღამე შეუწყვეტლივ მუშაობენ და რკინისგზების სხვადასხვა საჭირო ახალი ტოტები გაჰყავთ.

საბერძნეთის სოციალისტები ომის შესახებ.

როგორც ათონის კორესპონდენტი ტაიმსს აუწყობინებს საბერძნეთის სოციალისტებმა მანიფესტი გამოსცეს, რომლითაც ისინი ხალხს უცხადებენ, რომ აწინდელ მდგომარეობაში საბერძნეთს ნეიტრალიტეტის დაცვა არ შეუძლია და იგი შეთანხმების სახელმწიფოთა მხარეზე უნდა გამოვიდესო.

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

ქრონიკა

რუსეთი.

როდის მოიწვევენ სახელ. სათათბიროს?

დეპუტატებს იმედი აქვთ, რომ დუმის, მოწვევას რომლის ვადა მომავალი წლის თებერვლის 15 სთვის იყო დანიშნული, დააჩქარებენ. ნაციონალისტი დეპუტატები, რომელთაც მთავრობის წრეებთან აქვთ დაახლოვება, ირწმუნებიან, რომ დუმის მოწვევის საკითხს შობის დღესასწაულის შემდეგ უთუოთ გადაწყვეტენ და ვადას ოც იანვრისთვის დანიშნავენო.

ხვოსტოვი.

შინაგან საქმეთა მინისტრი ხვოსტოვი სხვა მინისტრების საქმეში უკვე ჩაერია და შესაფერ რჩევა—დარიგების მიცემას შეუდგა. იუსტიციის მინისტრს, წერილით მიმართა, რომლითაც პეტროგრადის სასამართლოების მოსამსახურეთა ჯამაგირების მოსალოდნელ შემცირებაზე მიუთითა და მომატება თუ არა ახლანდელი ჯამაგირების დატოვება ურჩია.

ხვოსტოვმა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს თავად შახოვსკოისაც მიმართა წერილით და წინადადება მისცა, ახლო მომავალში საჩქარო ზომები მიიღოს, რომ სათბობი მასალა წარმოების სხვადასხვა დაწესებულებებს შორის გაწესრიგებულ იქნას. ხვოსტოვი თავად შახოვსკოის ურჩევს, რომ ეს საკითხი მან აღძრას მომავალ საგანგებო სათათბიროს სხდომაზე.

ხვოსტოვს განუმარტეს.

გაზეთ „ნოვოე ვრემიას" ცნობილი კონსერვატორი პუბლიცისტი მენშიკოვი დაბეჯითებით განუმარტავს ხვოსტოვს, რომ მისი რჩევაა საზოგადოებამ თავი დაანებოს „პოლიტიკასო", იმის რჩევაა, რომ საზოგადოებამ ყოველგვარ აქტიურ მოქმედებაზე ხელი აიღოს და მაყურებლის როლით დაკმაყოფილდეს. მაგრამ „საზოგადოება" ხომ თეატრის „პუბლიკა" არაა? ეკითხება მენშიკოვი მინისტრს და მერე ჩვეულებრივ ნოტაციას უკითხავს.

ბრძოლის ველზე.

მოკავშირეთა დღევანდელი მდგომარეობა ერთი სიტყვით გამოიხატება. ეს სიტყვაა მოლოდინი. მოკავშირე სახელმწიფოები „სიწყნარის" გამეფების შემდეგ აგერ ერთი თვე გადის, რაც მოლოდინში არიან, არ იციან, თუ ძლიერი მტერი სად უპირებს მათ „დაკვრას." მტერიც ისე ოსტატურათ იქცევა, რომ დღესაც გამოურკვეველია, თუ რომელ ფრონტს აირჩევს ის: დასავლეთის, აღმოსავლეთისას, თუ ბალკანეთისას.

არავინ უწყის, რას ფიქრობს გერმანიის გენერალური შტაბი: რომელ ქვეყანას შეესევა და სად იპოვის სუსტ მხარეს.

მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ დღეს საქმე სისუსტეშიაც არაა. გერმანიას დღეს აუცილებლათ სჭირდება — გადამწყვეტი ბრძოლა გამართოს, რომ მოპირდაპირე ზავზე დაითანხმოს და ამიტომ იგი ახლა სუსტ მხარეს კი არ მიმართავს, არამედ მთავარ ძალას დაეტუება, რომ მის ძლიერებას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღოს.

ვინაა ასეთი ძლიერი მოკავშირეთა შორის? რა თქმა უნდა, რუსეთი!

და აი, რუსეთი

ამას რუსეთის ყველა სამხედრო მიმომხილველნი აღიარებენ, მაგრამ ამავე დროს „საზოგადოებას" იმით ანუგეშებენ, რომ გერმანიის მომავალი „შემოტევა" საშიში არაა, ადვილი მოსანელებელიაო! აი, რას სწერს ერთი მათგანი, ბ. კიროვი: „ნერვებს ნუ ავიშლით, საქმეს ფხიზლათ და დინჯათ შევხვდეთ, ცოტაოდენი უნარი და ოსტატობაც გამოვიჩინოთ და მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ მტერი ვერ გაიმარჯვებს." კიროვის აზრით, მტერი ვერ გაიმარჯვებს, რადგან რუსეთს მტერზე მეტი ჯარიცა ჰყავს და ახლა ყუმბარებიცა და პატრონებიც საკმაო მოეპოვება. გერმანიის უპირატესობა ყოველთვის საარტილერიო ცეცხლის ძლიერებაში იყო და იგი ახლაც ამასვე შეეცდება; მაგრამ რუსეთი ამის საწინააღმდეგოთ აგერ ორ თვეზე მეტია რაც ემზადება და იმედი უნდა ვიქონიოთ, ამბობს კიროვი, რომ იგი მომავალ განსაცდელს მზათ დახვდება და ბრძოლის ველზე საარტილერიო უმეტ ცეცხლს გერმანიასავით ისიც დაანთებსო. აქედან იმედია, რომ რუსეთიგერმანიის მომავალ გადამწყვეტ შეტევას გაუმკლავდება და მტერს შინისკენ პირს აბრუნებინებს.

გიგო დემოსიძე.

საშობაოდ.

1916 წლის წინად იშვა ქრისტე, რომ დაემკვიდრებია კაცთა შორის ძმობა, ერთობა და სიყვარული. და პირველი ქრისტიანები, რომელნიც უარყოფდენ ძველ მონობას, იმავე დროს სავსებით აღიარებდენ და ასრულებდენ დიდი მოძღვრის მცნებას.

მაგრამ ისტორიის ბორბალი მიხვეულ-მოხვეული გზით მისრიალობს და კეთილი აგრე ადვილად ვერა სძლევს ავს. და ქრისტიანობას თავიდანვე დასჩემდა ერთი დიდი ნაკლი: ის უარყოფდა არა მარტო მონობას, არამედ ყველაფერ კარგს, რაც ძველმა ცივილიზაციამ წარმოშვა, ე. ი. ძველ ლიტერატურასა, ხელოვნებასა და მეცნიერებას. მალე მონობაც აღიარეს. და კვლავ გამეფდა სიბნელე და ძალმომრეობა.

ბერძნული რომაული მეცნიერება ალარავის ახსოვდა და მისი ადგილი საღვთის მეტყველო სქოლასტიკამ დაიჭირა. საამქვეყნო ცხოვრების ნაცვლად ასკეტიზმი, ე. ი. სხეულის ნორმალურ მოთხოვნილებათა უარყოფა, იყო აღსრულებული. ბიზანტიამ, რომელიც შეიქნა ქრისტიანობის კერად, წარმართ მეცნიერების დევნა დაუწყო და ეგვიპტეში და იტალიაში წარმართული ლიტერატურა ცეცხლს მისცეს.

მაგრამ ბიზანტიიდან ლტოლვილმა მეცნიერებმა ძველი სწავლა სპარსეთში გადაიტანეს. და შემდეგ, როდესაც არაბებმა დაიპყრეს სპარსეთი, ხმელეთ შუა ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები აფრიკა და ისპანია, წარმართული მეცნიერება მკვდრეთით აღსდგა და განახლების გზას დაადგა.

და თუმცა არაბთა ბატონობა და ცივილიზაცია ხანმოკლე იყო, მაგრამ ის ბიძგი, რომელმაც უკვე აამოძრავა ძველი ლიტერატურა და მეცნიერება, ისე ძლიერი იყო რომ ევროპაშიაც გადავიდა. და უკვე მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეში დაიწყო ძველი ხელოვნებისა და მეცნიერების განახლება ჯერ იტალიაში და შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ამ ეპოქას, რომელმაც ადამიანს კვლავ მოუპოვა საამქვეყნო სიამეთა უფლება, უწოდებენ ჰუმანიზმის ეპოქას.

რეფორმაცია, რომელიც წარმოიშვა

სანახსოვრო შობა.

(ტანჯული კაცის დღიურიდან)

....კაცი დავბერდი და ერთი შობაც არ გამიტარებია ბედნიერება!

ან კი რა არის ბედნიერათ?

სიზმარი... ოცნება და სხვა არაფერი.

იმ ორფეხა სულიერებში, რომლებისთვისაც შეცდომით ადამიანები დაურქმევიათ, უფრო ძნელია ცხოვრება, ვიდრე ჯოჯოხეთში.

ჯოჯოხეთი ეშმაკებითაა სავსეო, ამბობენ და ეცოდინება მაინც, რომ ეშმაკს ეშმაკურათ უნდა მოექცე!

ხალხი კი?....

დასწყევლოს ღმერთმა! შეხედავ ადამიანს ანგელოზის სახე ადევს, თაფლი გადმოსდის პირიდან, დაუახლოვდები და მხოლოდ მაშინ გაიგებ, რომ მას თავის ვირათ სდომებიხარ....

— მე... მე... მე... სულ ეს ოხერი „მე" ესმის ირგვლივ და ერთხელ ვერ გაიგონებ, რომ შენც ადამიანი ხარ, შენც გინდა სიცოცხლე ტკბილი, თავისუფალი, თავისებური!....

ტყუილია სიყვარულიც, მეგობრობაც... ამხანაგობაც...

სუყველაფერი თვალთმაქცობაზეა აშენებული....

არა გჯერათ?

მაშ ყური დამიგდეთ! მე მოურიდებლათ გადაგიშლით ერთ-ერთ ფურცელს ჩემი ცხოვრების ისტორიისას და თქვენ-კი გულ-მშვიდათ წაიკითხეთ. და ნურც შეგრცხვებათ, რომ ასეთ ტანჯვაში გყავდათ თქვენი თანამოძმე ადამიანი...

სულ რვა ცხრა წლის ბიჭი ვიყავ, როცა შობას პირველ შეგნებულათ ვეგებებოდი.

შობამდე სულ ცრემლებით ვრწყავდი ხოლმე ჩემს პაწია ლოგინს...

ერთ სამაზრო ქალაქის ერთ-ერთ საძაგელ სკოლაში ვებარე. ბინათ ვიდგე ვიღაც მეწვრილმანესთან. ერთი პატარა ოთახი ჰქონდა. ჰყავდა ბებერი დედა, კაპასი ცოლი და დრო გადასული გასათხოვარი და.

აი კიდევ,—უცნაური არსებანი თუ გნებავთ ეს დრო გადასული გასათხოვარი ქალები არიან!

ვიღაზედაც და რაღაზედაც გაბოროტებულნი, სულ ბუზღუნებენ, იწყევლებიან, შურს იძიებენ....

მალმალ სარკეში იცქირებიან აქა-იქ გამოჩენილ თეთრ თმებს იწიწკნიან და ამ დროს მათ გვერდით რომ მოხვდე, ისეთსა ჩაგცხებენ, რომ ჰაჰები ჩაგცვივათ.

მეც საქმე მქონდა იმ ქალისაგან გაჭირვებული.

ჯერ ისედაც დარეტიანებული ვბრუნდებოდი ხოლმე სკოლიდან: ერთი ღვთისპირისაგან დაწყევლილი მასწავლებლები გვყავდა: გვიყვიროდენ, გვცემდენ, გვაგინებდენ.

მოგვცემდენ ხოლმე საზეპიროთ უცხო ენაზე დაწერილ ლოცვებს და თუ მეორე დღეს კაკკაპივით არ ვტყოდი და ენა გადაგიბრუნდებოდა, ისეთს წამოგვიტიალებდენ ხოლმე კისერში, რომ თვალებიდან წინწკლები გვცვიოდა...

ასე გვტანჯავდენ ხოლმე ყოველდღე ოთხ-ხუთ საათს.

გაკვეთილების შემდეგ სიხარულით მოვეშურებოდი ხოლმე შინისაკენ, მაგრამ აქ უარესი დღე მადგებოდა!

რათ, რათ დამაყენა მამაჩემმა ამისთანა ბინაზე?

— იფალ გამოვალ... თვეში სამ მანათად შვილს გამოვკვებავო.

ისე კარგი დეემართოს თალალასათს, რაც მე კარგად არა მყვებავდენ!..

მთელი დღე მშიერი ვიყავ ხოლმე, მომიგდებდენ გამხმარ კუტს და ის უნდა მეღრღნა ძაღლივით მეორე დილამდე და თუ დამრჩებოდა რამე, უნდა ჩამედო თოფსაკში და საუზმეთ წამეღო კლასში....

კლასი, აი დასწყევლოს ღმერთმა ისეთი კლასის მომგონი..,

თავინკარი ქვაფ სწორეთ იქ დამაკარგვინეს...

ახლა ვიცი, რომ ჩვენ თურმე მონებათ, ლაქიებათ დაგვზდიდნენ და მამაჩემს კი უხაროდა—ნასწავლი შვილი გამოვიდეო ..

ვინ იცის, რამდენი ცრემლი დამიღვრია, ცრემლი სიმწარისა თუ უილაჯობისა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ტირილის ნებაც არ მქონდა.

ბოროტი ადამიანები ამ ერთადერთ ადამიანურ სამკაულსაც კი მართმევდენ..

იმ თავითვე განმარტოება მიყვარდა. მივჯდებოდი კატასავით სახლის კუთხეში—იმ მხარეს, საცა პაწია ბალი იყო და გავყურებდი ჩემი სოფლის გზას, იმ სოფლისას, სადაც მაინც და მაინც დიდი სიკეთე არ მეყარა (—მამაჩემი ერთი ღარიბი დიაკვანი იყო—დედა კი არ მახსოვს. დედინაცვლის ხელში გავიზარდე), მაგრამ მაინც მიყვარდა ჩემი სოფელი.

იქ, ყრუ ჭალებში, ან გიჟი მდინარის პირზე, ან გვირილა—ყაყაჩოთი აჭრელებულ ყანებში დავწვებოდი ხოლმე გულაღმა და შევყურებდი ლურჯათ მოკამკამე ცას... მავიწყდებოდა ხოლმე ამ დროს ყოველივე და ყველაფერი...

მხოლოდ გამოუთქმელი სურვილი და ოცნება მიპყრობდა. მინდოდა ვქცეულვიყავ ნაპრათ ღრუბლისა, ან ფერიათ ტყისა, ან ანგელოზათ ცისა, რომ იქიდან, ლურჯ კამკამა ცის გუმბათიდან —გადმომეძახნა ადამიანებისათვის.

— რა გაბობოქრებთ თქვე წყეულებო, რათა სჭამთ ერთმანეთს. ქვეყანა დიდია, ბუნება კი მდიდარი. მიეცით ხელი ერთმანეთს და იცხოვრეთ ბედნიერათ!...

მაგრამ ხშირათ ეს ოცნებაც მეშხამებოდა ხოლმე.

ჩემი ძმების გაბოროტებული დედინაცვალი წამომადგებოდა ხოლმე თავს, დამავლებდა ყურში ხელს და კატის კნუტივით ამითრევდა.

ეჰ! ღმერთმა დასწყევლოს ჩემი გაჩენის დღე!... სიყმაწვილეც კი მოშხამული მქონდა!...

სოფლათ დედინაცვალი მიტყაპუნებდა თავში, ქალაქად კი მეწვრილმანეს დრო გადასული გასათხოვარი და...

ოხ რა ბოროტი თვალები ჰქონდა, გეგონებოდათ, ქვეყნის შური და მტრობა აქ, ამ პაწია გველურ თვალებში მოგროვილაო!..

ღვთის წინაშე ხანდახან კი სახე მოულამაზდებოდა ხოლმე და ეს ხდებოდა მაშინ, როცა რაღაცა-ფიქრს ეძლეოდა...

ალბათ, ამ დროს კიდევ იმედოვნებდა საქმროს შოვნას, თავის საკუთარ ოჯახის მოწყობას...

ადამიანი, ისე, როგორც ყოველი ცხოველი—შთამომავლობის გასამრავლებლათ არის გაჩენილი.

— იტანჯეთ და გამრავლდითო! ასე დალოცა თურმე ღმერთმა პირველი წყვილი ადამიანებისა...

და თავის მსგავსის გაჩენაზე მეოცნებე ტასია (ასე ერქვა იმ ქალს) მთვარესავით გაივსებოდა ხოლმე, ლოყები აუწითლდებოდა, ბოროტი პაწია თვალები უგანიერდებოდა, მკერდი უღელავდა, რაღაც სიცოცხლე ემატებოდა...

როცა ასეთ მდგომარეობაში იყო, რამდენჯერმე დაუყვავებია ჩემთვისაც კი.

მიმახმობდა ხოლმე, ქოჩორზე ხელს გადამისვამდა, დამაცქერდებოდა... დამაცქერდებოდა და მერე ისეთსა ჩამიტიალებდა თავში, თითქოს მე ვიყავ დამნაშავე, რომ ტასია უქმროთ რჩებოდა.

ღმერთმა დასწყევლოს გაბოროტებული დედაკაცის ალერსიცა და დაყვავებაც!....

— რათა მცემ, ადამიანო, რა დაგიშავე!

— დაიკარგე, შე საძაგელო, არაფერში გამოსადეგი არა ხარ... წადი ჩანჩხვარი მაინც აკრიბეო! მიბრძანებდა ხოლმე და მეც მთელ თავისუფალ დროს ვკრეფდი ჩინჩხვრებს, ვეზიდებოდი წყალს ვირივით, ვარწევდი ჩემი სახლი პატრონის ჩხავანა და წვრიან- ბუგრიან ბავშს და ისევ სოფელში დაბრუნება მენატრებოდა.

დადგა ეს ბედნიერი დღეც. საშობოთ დაგვითხოვეს.

მამაჩემი ჩამოვიდა თავის ზურგ გადატყავებული ცხენით, გამიშინჯა ნიშნები და ორები რომ დაინახა, ისეთი სილა მიკრა, რომ სამჯერ გადავკოტრიალდი.

საშინელი ღრიალი მოვრთე.

— სუს! ხმა ჩაიწყვიტე, არამზადა... ჩემი ქონება გადავალიე და შენ კიდევ „დოიკები" გყავსო.

ქონება მე თქვენ მოგახსენოთ, ხავერდებში მატარებდა.

ერთი ცხრათ დაკონკებული ხალათი მეცვა და სიცივისაგან ჭირიანი ინდოურივით ცინცლები ჩამომდიოდა.

გერმანიაში მეთექვსმეტე საუკუნეში, იყო მეორე საშინელი ლაშქარი კათოლიკურ დოგმატთა წინააღმდეგ. პაპის უცოდველობა უარყოფილი იქნა და ამგვარად, სინიდისის თავისუფლებას გზა გაეხსნა.

ცხადია, რომ ძველი ძალები ავრე ადვილად არ დასთმობდენ ბატონობას და კონტრეფორმაციის დრო—შავბნელი დრო იყო. გაიხსენეთ იეზუიტების ორდენისა და ინკვიზიციის მოქმედება (მეტადრე ისპანიასა და იტალიაში), ჰუგენოტების დევნა საფრანგეთში, დაუცხრომელი ომები გერმანიაში რეფორმატებსა და კათოლიკურ ავსტრიას შორის და სხ. მაგრამ ვერაფერმა ძალამ ვერ ჩააქრო იდეა, აზრი. სოციალური და გონებრივი ევოლიუცია აუცილებელი იყო და საზოგადოება თანდათან განთავისუფლდა საშუალ საუკუნეთა ცრუმორწმუნეობისაგან. ცხადია კი, რომ ამ ევოლიუციის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ეკონომიურ პირობათა შეცვლა, რომელიც თავისი მხრით შედეგი იყო მეცნიერების წინსვლისა.

მეჩვიდმეტე საუკუნეში მეცნიერებამ, განთავისუფლებულმა ძველი მუხრუჭისაგან, დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ და ნიადაგი მოუმზადა მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებელ ხანას, რომელიც ბოლოს საფრანგეთის დიდი რევოლიუციით დასრულდა.

მას შემდეგ ახალი ხანი იწყება და საერთაშორისო ბრძოლა ეკონომიურისა და ეროვნული ინტერესების გარშემო სწარმოებს. სქოლასტიკას საუკუნოდ მოედო ბოლო და კაცობრიობამ იდეალად კვლავ ძმობა, ერთობ და სიყვარული დაისახა.

მაგრამ ამ იდეალს გადაეღობა წინ ეროვნული ეგოიზმი, რომელსაც ისტორიის პირველ ხანაშივე აქვს ფესვი გამდგარი. და დღეს ჩვენ მოწმე ვართ ორი პრინციპის ბრძოლისა, საერთაშორისოსი და იმპერიალისტურისა. პირველი ნიშნავს საერთაშორისო მეგობრობას, მეორე კი ძლიერის მიერ სუსტის ჩაყლაპვას.

რით გათავდება ეს საშინელი ომი? რომელი პრინციპი გაიმარჯვებს? დასძლევს თუ არა კეთილი ავს და დამარცხდება თუ არა იმპერიალიზმი?

ვფიქრობ, რომ საბოლოო გამარჯვება არც ერთ პრინციპს არ დარჩება, მაგრამ ისიც დიდი საქმეა, რომ უკვე საყოველთაო რწმენად შეიქნა ის აზრი, რომ თითოეული ერი—ფასდაუდებელი ღირებულებას წარმოადგენს და მისი უფლება ალსრებული უნდა იქნეს.

ეს კი დიდი ნაბიჯი იქნება წინ იმ ღვთაებრივი მოძღვრებისაკენ, რომელიც პირველად ქრისტემ გვიქადაგა.

ვასილ წერეთელი.

საზოგადო წერილი.

„ოსანა მაღალთა შინა... მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება..!“

გვაგონდება დღეს ანგელოსთა სიმღერა, რომელსაც ზეციური ძალნი იესოს შობის ღამეს უგალობდენ კაცობრიობას და ქვეყანათ მშვიდობისა და სათნოების დამყარებას ახარებდენ მას.

მას შემდეგ განვლო 1915 წელმა და კაცობრიობას მშვიდობა და სათნოება ისე არა დროს არ მოწყურებია, როგორც დღეს.

„მშვიდობა და სათნოება!“ აი რას მოითხოვს დღეს მთელი ქვეყანა. აი კვლავ რა საკაცობრიო საგალობელი გაისმის ქვეყნის კიდით-კიდემდე.

მაგრამ ამას დღეს ანგელოსნი როდი მღერიან, ეს საგალობელი ახლა „ცოდვილ ქვეყანასაც“ შეუთვისებია და მას კაცობრიობისეე საუკეთესო შვილნი ზეაღტაცებით მღერიან. ახლა ამ საგალობლის ფორმაც და შინაარსიც ქვეყნიური, კაცობრიულია და არა ზესთა ბუნებრივი და მას სახელიც ახალი აქვს. ახლა მას ერთობა ქვია.

აი ეს საკაცობრიო საგალობელი პირველათ ამ სამოციოდე წლის წინათ მშრომელმა ხალხმა უმღერა კაცობრიობას და ამით ამცნოს მას, რომ ქვეყანათ იშვა ახალი იდეა, ახალი ძალა, რომელიც შემუსრავს „ბჭეთა ჯოჯოხეთისათა“ და კაცთა შორის „მშვიდობასა და სათნოებას“ დაამყარებს!

მას შემდეგ განვლო სამოცზე მეტმა წელმა და ქვეყნის კიდით-კიდემდე თოფ-ზარბაზნების ქექა-ქუხილი კაცობრიობის აყრუებს.

მაგრამ სუ, აბა კარგათ დაუგდეთ ყური და თქვენ ამ საზარელ ხრიალ ჟრიალში და ადამიანთა კბილთა ღრჭენაში ცხადათ გაიგონებთ ტკბილ-სანუგეშო, საიმედო სიმღერის ხმას, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდება და ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გადადის მოწინავე, რის შვილთა მოძახილს სხვა ერთა შვილნიც ბანს აძლევენ და ამ ნაირათ მძლეთა-მძლე საერთაშორისო დემოკრატიის გუგუნი მთელ კაცობრიობას აღვიძებს: გიხაროდეს ადამიანო! მოახლოვებულია დრო განთიადისა: ახლათ ნაშობი ძალა გაიზარდა, მომწიფდა, დავაჟკაცდა და დადგა დრო, რომ მან „მშვიდობა და სათნოება“ კაცთა შორის მართლაც დაამყაროს.

დელო.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დ დ. ო. ნიჟარაძემ შემდეგი შინაარსის დეპეში მიიღო მათი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასული საგან: „გთხოვთ გადასცეთ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას ჩემი უგულითადესი მადლობა მოლოცვისა და კეთილი სურვილების გამოცხადებისათვის! ეს დეპეში პასუხია იმ დეპეშისა, რომელიც გაუგზავნა თ-დ დ. ო. ნიჟარაძემ მათ იმპერატორობითი უმაღლესობას დიდ მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასულს: „უმორჩილესათ გთხოვთ მიიღოთ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან და პირადათ ჩემგან მოლოცვა თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის დღეობის გამო, უზენაესს ვევედრებით მოგანიჭოს თქვენ, თქვენო უმაღლესობავ, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა.

✦ საფირჩხიის დავით კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოში 26 დეკემ. მოხდება ამავე სამკითხველოს წევრთა კრება, სამკითხველოსათვის ნივთიერი სახსარის გამოსანახავათ. ამავე სამკითხველოს 10 მ. ღირებულ წიგნები შესწირა ოლიმპიადა მიქელაძის ასულმა მკურნალისამ.

✦ ოთხშაბათს, 23 დეკემბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში გრ. ამაღობელმა წაიკითხა ქართულ ენაზე ლექცია: „ევროპის ომი და საქართველოს ახალი ეპოქა“. ლექტორმა (!) თავისი ლექცია სამ ნაწილათ გაყო. არც ერთ ნაწილში არ იყო განმარტებული ლექციის გამოცხადებული სათაური. ლექცია ძლიერ სუსტი გამოდგა.

✦ 22 დეკემბერს ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა საჯარო ვაჭრობა ქ. ქუთაისში მდებარე მამულებზე. გაიყიდა ორი მამული, ხუთი დარჩა ბანკს. სხვა ქალაქებში მდებარე მამულებზე საჯარო ვაჭრობა მოხდება 28 დეკემბერს, სოფლებში 30 დეკემბერს.

✦ 23 დეკემბერს ქუთაისის შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდა საქველმოქმედო საზოგადოების კრება, რომელზედაც შესცვალეს უმთავრესი მუხლები წესდებისა.

✦ 23 დეკემბერს, ჭიათურის შავი ქვის საბჭოს დარბაზში შესდგა ქ. შ. წ. კ. გ. საზ. ქუთაისის განყოფილების წიგნების გამომცემლის სექციის კრება. კრებამ დაადგინა: გამოსცეს ყველა ის ქართული წიგნები, რომელიც საჭირო იქნება ხალხში გასავრცელებლათ თავისი აგენტის საშუალებით.

✦ ქუთაისის „კოოპერატ ულმა“ საზოგადოებამ უკვე გახსნა კოოპერატიული ფურნის განყოფილება ივანოვის ქუჩაზე, ჯანგავაძის სახლში.

✦ გუშინ ქუთაისის ქალაქის გამგეობაში მუშაობა 28 დეკემბრამდი შესწყდა.

✦ ქუთაისის მცხოვრები პრაპ. სეფე ლორთქიფანიძე რომელიც მონაწილეობას იღებს ოსმალების საწინააღმდეგო ომში, ამ დღეებში გმირობისათვის დაჯილდოებული იქნა წმ. გიორგის 4 ხარისხის ჯვარით, ოქროს ხმლით ანას მესამე ხარისხის ჯვრითა და ყელის ჯვრით.

✦ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის 8 კლ. მოწაფემ ანაშვილმა 11 მ. გადასცა ვალ. შალიკაშვილის მის სასარგებლოთ მოწაფეებში მოკრებილი.

✦ ქუთაისის მოვაჭრე ვ. ქორქოლაძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მას უკვე გამოელია ახლათ მოსული შაქარი.

✦ 22 დეკემბერს, ქუთ. ქართულ გიმნაზიის დარბაზში ამავე გიმნაზიის მოწაფეთა მიერ გაიმართა ლიტერატურულ-მუსიკალურ-დრამატიული საღამო. წარმოადგინეს კ. ფოცხვერაშვილის პიესა „აშენდა საქართველო“ 3 მოქ. სურათები სტუდ. ცხოვრებიდან. ორკესტრმა შეასრულა მოსწავლის გამოგონილი „ვალსი“. საღამო მეტათ შთაბეჭდილებიანი იყო. საზოგადოება ბევრი დაესწრო და ნასიამოვნებიც დარჩა.

✦ „ქართული დრამის“ ამხანაგობა სთხოვს ვისაც სეზონის კონტრამარკები აქვს, ყოველ წარმოდგენაზე მისვლის დროს კარებშივე წარუდგინოს ხელმეორეთ კონტროლს.

შობა

ცხრამეტი საუკუნის წინად მთელი საწარმართო სამყარო, რომელიც შედიოდა დიდებული რომის იმპერიაში, მემატიანეთა სიტყვებით, წარმოადგენდა შემზარავ სურათს ზნეობრივი დარღვევისა და გონებრივი დაცემისას. რომის პოლიტიკურმა უფლებამ შექმნა ის, რომ ბედნიერების საზომად ითვლებოდა ძალა, უფლება და ცხოვრების მიზნათ—სიმდიდრე.

მთელი სამყარო იყოფოდა ორს, სრულიად მოპირდაპირე ურდოთ: ერთი მხრით იდგა გარემოცული ყოველგვარი უფლებითა, ჩამხრჩვალი მდიდრობაში და სიმდიდრეში-არისტოკრატია, მეორე მხრით კი—მოკლებული ყოველისავე ადამიანურ უფლებას, მომაკვდავი შიმშილითა, დაყვანილი უკანასკნელ ზოოლოგიურ საფეხურამდე მთელი მასსა ყმებისა და შეუწყვეტელი ომებით დაქანცული გლეხკაცობისა.

პირველმა—არისტოკრატიამ, რომლის მიზანსცა შეადგენდა მარტო ქვეყნიურ ფუფუნება და განცხრომა, დაივიწყა ღმერთი და ჩავარდა სრულ ურწმუნოებაში.

მეორემ კი—გაჰყლეტილმა მმართველ კლასის მძიმე ხელით და დაჭედილმა სიღარიბის მძიმე ბორკილებით, მოასწრო გათვალისწინება თავის ღმერთების ძალისა.

სწორედ აი ამ ბინდ წარმართ სამყაროში გაბრწყინდა ვარსკვლავი ბეთლემისა.

გაბრწყინდა ჭეშმარიტება დაბადებული პირისა, არა მდიდარ სასახლეში, არამედ ღარიბს მიტოვებულ მწყემსების ბაგაში, ღვთიური მასწავლებლის ქრისტესი.

შემარცხვენელ ხარხართა შორის გაისმა ტკბილი და საამური ხმა, რომელიც მოიხმობდა სამყაროს: „მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება“-ო

დღეს დაიბადა ის, ვისმა ზეგარდმომონიჭებულმა სიტყვებმა მოახდინეს ძირითადი ცვლილება მაშინდელ ცხოვრებაში და ვისმა ტანჯულმა ცხოვრებამაც კაცობრიობის სიყვარულისათვის მოუღეს ბოლო იმ გარყვნილებას, რომლითაც განთქმული იყო ძველი სამყარო, იმ დამონებას ადამიანისას ადამიანისაგან, რომელიც შეადგენდა რომის წარმართ იმპერიის საფუძველს...

დადგა ხანა ბრძოლისა ახალსა და ძველ შორის. ეს ხანა, რომელიც გრძელდებოდა 200 300 წელი, იყო იმ ხანათ, როდესაც მაშინდელ სამყაროს პირველათ მოესმა ძმობა და ერთობა, ნაქადაგები კაცობრიობის დიდებულ მოძღვრ ს-ქრისტესაგან. აი ამ მცნებით (ძმობა-ერთობა) წესრიგდებოდა პირველი, თუმცა მცირედი ჯგუფი ქრისტეს მიმდევრებისა.

რა მშვენიერი იყო ამ ნორჩ საზოგადოების ცხოვრება თვისი სიმარტივით! აქ არ იყო მოცილეობა სიტყვისა და საქმის,—თეორიასა და პრაქტიკას შორის. ქრისტეს მიმდევრებს „სამოციქულოს“ სიტყვით ჰქონდათ „ერთი სული და გული და დიდი კურთხევა იყო ყველა მათ ზედა“.

ჭეშმარიტების დიდებულმა გამაცოცხლებელმა სხივებმა, რომელიც მოიტანა ქრისტემ ქვეყანაზე, გასჭვრეტს ყველი საიდუმლოება მაშინდელ ტალახიან ცხოვრებისა და იყო დაეკ...

ამ რიგათ, პირველ ქრისტიანთა ჯგუფიდან, რომელიც მაღლა [illegible] ძმობისა, ერთობისა და [illegible] განწდენ ძველი სამყაროს ნანგრევებზე ქრისტიანული სახელმწიფოები, თუმცა, სამწუხაროთ, შემდეგში ცოტა არ იყოს დაივიწყეს დიდი მცნება დიდის მოძღვრისა და ასრულდა წინაგრძნობა დიდებული მასწავლებლისა: „ბაგითა მათითა პატივს მცემენ მე, ხოლო გული მათი განშორებულ არს ჩემგან“-ო.

მართლაც, სად არის ქრისტესაგან ნაქადაგები ძმობა, ერთობა და თავისუფლება.

რას წარმოადგენენ დღევანდელი „ქრისტიანული სახელმწიფოები“.—ერთგან მდინარესავით იქცევა ქრისტიანული სისხლი, მეორეგან კი სამხედრო ტეხნიკით გამხნევებული მუშტი ჰკიდია ჰაერში და ყველას ემუქრება. შინაურ ცხოვრებაში კი-იგივე სახელმწიფოების-ერთობა ეკონომიურ დამონებათ გადაიქცა და ძმობა-სიყვარული შოვინიზმათ, რომელიც არ აღემატება იმ გრძნობას, რომ „კაცი-ეს ხორცია ზარბაზნებისათვის“-ო... ასე ძნელია საქმე სიყვარულისა! ასე ვიწროა ის ბილიკი, რომელსაც მიჰყავს კაცობრიობა სიყვარულისა და მშვიდობის სამეფოში!..

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ქრისტესაგან მოცემული იდეალი იზიდავს კაცობრიობას თავისკენ და „ნათელი ბნელში ანათებს და ბნელი ვერ იცავს მას“.......

შალიკო ჯვარისელი.

წერილი სარატოვიდან.

კიევის კომერციულ ინსტიტუტთან, რომელიც ამ ჟამად გადატანილია სარატოვში, არსებობს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომლის მთავარ მიზანსაც შეადგენს საქართველოს ეკონომიურ ეთნოგრაფიული შესწავლა. წრეს აქვს: სამკითხველო, რომელიც შესდგება ქართულისა და რუსულის წიგნებისაგან... აგრეთვე წრესთან არსებობს: საბალო (საღამოების მომწყობი) კომისია და სარევიზიო კომისია... პირველის საგანს შეადგენს მოაწყოს ლიტერატურული დილა საღამოები რეფერატებით, ლექსებით და სიმღერა-გალობით და, ამნაირად, გააცნოს უცხო საზოგადოებას თუ რა სიმაღლეზე დგას ქართული კულტურა. სარევიზიო კომისიის საგანს კი სამკითხველოს საქმეების, საბალო კომისიისა და წევრთა საერთო მოქმედების თვალყური შეადგენს...

მას შემდეგ, რაც კიევის უმაღლესი სასწავლებლები გადაიტანეს სარატოვში,-კომერციულ ინსტიტუტთან არსებული სამეცნიერო წრე,—წევრთა დაქსაქსვის გამო, იძულებული შეიქნა შეეჩერებია მუშაობა... ხოლო ეხლა, როდესაც ცოტათ თუ ბევრათ, შეიკრიბა ქართული სტუდენტობა სარატოვში,—წრემ განაახლა თავის მოქმედება... მაგრამ, სანამ მოქმედებას შეუდგებოდა, წრემ—საჭიროთ დაინახა ძველი თავჯდომარის ბ. ნ. დიდებულიძის დაუბრუნებლობის გამო, აერჩია ახალი თავჯდომარე... ამ მიზნით მოხდა კრება ამხანაგ ლევან ქორქაშვილის თავჯდომარეობით... კრებამ, უპირველესად ყოვლისა, უკმაყოფილება გამოსთქვა ძველი გამგეობის უმოქმედობის გამო და შემდეგ შეუდგა ახალი გამგეობის არჩევას, მცირე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად, თავჯდომარეთ არჩეულ იქმნა სტ. გრიგოლ გორგაძე,—თავჯდომარის ამხანაგად სტუდენტი ამაშუკელი. ამასთანავე აირჩიეს საბალო და სარევიზიო კომისსიის წევრები... კრების დასასრულს, სტ. ქორქაშვილმა მოკლე სიტყვაში, უსურვა ახალ გამგეობას წინსვლა და მეყიათი მოქმედება... ახლო მომავალში სამეცნიერო წრეს განზრახვა აქვს გამართოს ლიტერატურული საღამო ქართველ სტუდენტებისა...

სტ. გ. გორგაძე.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

დასავლეთის ასპარეზი.

რომი. 23 დეკ. მთავარი ბანაკის ცნობა. 22 დეკემბერს რიგის რაიონში, კარგათ მომზადების შემდეგ, ჩვენ დავიკავეთ ახალი პოზიციები მდელოებზე. მცირე ხნის ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავიკავეთ ორი თხრილი სპერონეს მთის ფერდობზე. [illegible] რაიონში ერთეული ჩვენი რაზმი გამოვ და [illegible]

ნეტა რას მაყვედრიდა ის უბედურის შვილი!...

ჯერ კარგად გათენებული არ იყო, რომ ბუზღუნით შემომისვა ცხენზე და წამიყვანა შინისაკენ...

კარალეთის მინდვრებში რომ გამოვედით და გავხედე თეთრათ გადაპენტილ ველ-მინდორს გული გამეხსნა, ნეტარებით ავივსე. ბავშურმა ოცნებამ შემიპყრო.

ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს მოგზაურობა.

ბარდნიდა... ჩანანისავით მოდიოდენ მაღლიდან თოვლის ნაფლეთები, ეცემოდენ მამიჩემის ჰუჰყიან ჩოხას, მის მხრებზე დნებოდენ და მამის ბეჭებზე მიყუდებულს წურწურით ჩამოსდიოდა ეს წვეთები სახეზე, მაგრამ მე მაინც ტრიალ მინდორს თვალს არ ვაშორებდი: ბუნებრივად ვგრძნობდი დაუსრულებლობას სივრცისას, [illegible] ბუნებისას, უკვდავებას ადამიანის მისწრაფებათა.

თოვლი თვალებსა მჭრიდა და ცის ტატნობზე ათასგვარი სურათები მეხატებოდა....

უცბათ მომეჩვენა თითქოს ტასია გამოგვეკიდებოდა და რაღაცას მოგვძახოდა...

— მამა, მამილო! შენი ჭირიმე, ნუღარ დამაყენებ იმათთან; წამოვიძახე ჩემდა უნებურათ და მაგრათ მივეხუტე.

— შენ რომ ნიშნები გაქვს—მამა გიცხონდა, ღუბერნატორთან დაგაყენებ—დაიბუზღუნა მამაჩემმა და ცხენს შეუტია...

ოცნება მომეშხამა... მთელის ჩემის არსებით ვიგრძენ უხეშობა სიბრიყვისა.

ღამის 9 საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენი სოფლის ორღობეში შევედით.

გულმა სიხარულით ფანცქალი დამიწყო.

ჩემი პატარა დის ნახვა მენატრებოდა. ის იყო ერთადერთი მეგობარი ჩემი სიყმაწვილისა. მომაკვდავმა დედამ მე ჩამაბარა იგი!

ის რა ლამაზი, რა მშვენიერი გოგონა იყო! გრუზა, ფუნთუშა, ქერა. მისი ლურჯი თვალები არ დამავიწყდება: ვიდრე ეს ცა დაჰყურებს ამ ცოდვილ ქვეყანას და მეც კიდევ შემიძლია ფიქრი და ოცნება!

აი, ახლაც კი, ოცი წლის შემდეგ, გული მიკვნესის ამ გოგონას მოგონებს და მინდა ვიტირო, თუმცა ჩემი ცრემლები ახლა ისე უმანკონი არ იქნებიან როგორიც იყვნენ იმ ჩემთვის შავბნელ პირველ შობის ღამეს, რომელიც კი ჩემს ხსოვნაში დარჩა.

დედინაცვალი მიგველოდა. ჩვენი ჭუჭყიანი სახლის სარკმლიდან ჭრაქის სინათლე გამოჰკრთოდა. და ისე ცახცახებდა თოვლზე, როგორც ჩემი გული გაყინულ და გათოშილ ჩემს მკერდში...

რის ვაი ვაგლახით ჩამოვცოცდი ცხენიდან.

დაბუსხულმა ძლივძლივობით შევაღე კარები და მაშინვე იმ კუთხისკენ გავიხედე, სადაც ჩემი დაიკო მეგულებოდა...

თამრო ვერ დავინახე. მის მაგიერათ აკვანში ჩხაოდა ძუძუთა ბავში ჩემის დედინაცვლისა.

ცრემლები მომერია. გულმა რაღაც მწარედ შემომკვნესა...

— თამრო... სად არის თამრო?

— თამრომ შენი ჭირი წაიღო... იმის დანაკლისი დღე ღმერთმა შენ შემატოს!..

უკმეხათ მითხრა დედინაცვალმა და ბუხარს შეუჩიჩხინა...

აღარ მახსოვს რა დამემართა... ვიცი მხოლოდ, რომ იმ წუთში ჩემს გულს მოსწყდა ისეთი რაღაც რამ უმთავრესი ტამარი, რომელიც მერე აღარ გამთელებულა.

მთელი ღამე ბღუილით გავათენე... გათენებისას ჩამეძინა და მაჩვენა, რომ თამრო, ჩემი საყვარელი დაიკო თამრო მოსულიყო ჩემ სასთუმალთან და ისე მიღიმოდა, როგორც გაზაფხულის შროშანა..

— თამრო, ჩემო საყვარელო, ჩემო ძვირფასო თამრო!...

სიხარულით წამოვიძახე და თვალები გავაჭყიტე.

— ადექი, შე მხეცო, დიდიხანია შობის ცისკარი დარეკეს.

დამიჭყივლა მამაჩემმა და ლოგინიდან წამომაგდო.

მომიკვდა გული! პირველად მაშინ ვიგრძენ მარტოობა სულისა...

პირველად მაშინ ვკმე ღმერთიც და კაცაც!...

ნორჩი ბუნება ჩემი აღშფოთებით შეხვდა ამ უსამართლობას ბუნებისას და პაწია ჩემი დაიკო გადამექცა იმ ანგელოზათ, რომელსაც დავეძებ აღბორგებული გულის, აღშფოთებული სულის, დასამშვიდებლად...

ირგვლივ კი დღესაც მხოლოდ ბოროტება, თვალთ მაქცობა და გამცემლობაა...

გულმართალი და ნაპირნახულევი მეოცნებე იკირგება და იტანჯება ორფეხა ცხოველების ბრბოში, რომლისთვისაც შეცდომით ადამიანები დაურქმევიათ.

პირველი შობა ჩემის პირველის შეგნებულის ყმაწვილობისა პირველი დღეა იმ ტანჯვის გზისა, რომელზედაც მე შევდექი და რომელსაც დღესაც ვადგივარ.

მიყვარს ეს დღე ჩემის გაადამიანებისათვის, მაგრამ თანაც მეჯავრება ეს დღე, რომ მისი მადლი და ძალი უკვალოდ იკარგება ერთს დაუსრულებელ მ-ე-ე-ს ბლავილში....

ია ეკალაძე.

ლებიდან, მარჯვით დაიკავა წინ გამოწეული პოზიცია და ზედ დამკვიდრდა.

ლონდონი. 23 დეკ. ინგლისის მთავარი ბანაკის ცნობა. საფრანგეთში საარტილერიო ბრძოლის დროს ჩვენ ჩავაჩუმეთ გერმანელების ორი გაუბიცა. არმანტიერის რაიონში გავფანტეთ გერმანელების საპიორები. იპრის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჰოლბერტის ჩრდილოეთით მტერმა საარტილერიო სროლის შემდეგ იერიში მოიტანა, მაგრამ ჩვენ იერიშს ცეცხლით ვუპასუხეთ და მის გავითარებას ხელი შევუშალეთ.

„რას მერჩოდენ!?“

(საშობაო ესკიზი)

კორკოტობა იყო. ქრისტეშობისთვის ოცდა ოთხი. სპირიდონ სულაძის ოჯახში, უწინდელი ჩვეულებრივი მზადება თუმცა არ იყო შობის დღესასწაულის შესახვედრათ, მაგრამ საშობაო ღორი სპირიდონს მაინც ნაყიდი ჰყავდა და ემზადებოდა მის დასაკლავათ, სიცოცხლის მოსასპობლათ.

— რა ვქნა? ჩვეულებას ვერ ვუღალატებ. თუმცა კი ამისთვის დღეს აღარ მცალია! ამისთვის აღარ მიცემს გული, მაგრამ... მაგრამ რა ვქნა?!

საშობაოთ ღორი მაინც უნდა დავჰკლა!..
ფიქრობდა თავისთვის სპირიდონა და ღორის დასაკლავ დანას ვულესავდა პირს.

— ნეტავ რას მერჩოდენ?! ვის რა დავუშავე?, ვის რა წავართვი?!

ჩემს შვილებს ვზრდიდი... ჩემთვის ვიყავი... ოჯახს ვუვლიდი... ვშრომობდი... ვმუშაობდი... ჩემი ბიჭების აღზრდა-ვაჟკაცობას შევხაროდი... მათი ვცოცხლობდი... მათ ვეთაყვანებოდი.. მერე?! მერე, სადღა არიან დღეს?.

სადღაა მათი იმედი? მათი დედა-შვილური კოცნა-ალერსი?.

შობა-ახალ-წლის დღესასწაულებზე მათი მხიარული კისინი, „მრავალჟამიერი“?!

ოხ, შვილებო! შვილებო!

სად ხართ! სად მყავხართ! სად შეხვდებით ძველ ქრისტეშობის დღესასწაულს? სად იშოვით წვადზე შემწვარ ღორის ხორცს?!

სად მოისმენთ—გაიგონებთ შობის „ალილოს“? მშობლების მილოცვას, ტოლ-ამხანაგებში მხიარულებას?!

კვნესა-გოდებით იმეორებდა თავისთვის ამ სიტყვებს დედა ელენე და ოჯახში, თავის ქმარს, შობის დღესასწაულის შესახვედრათ მზადებაში ეხმარებოდა.

— ნეტავი იმ დღეს, განაგრძო დედა ელენემ.

- შარშან ამ დროს ჩემი ბიჭები ორივე შინ მყავდნენ... ღორი თვითონ პეტრემ დაჰკლა.

წვადები ივანემ დაამზადა...

საღამოს თავის ტოლებს, მეზობლის ბიჭებს, გადაძახ-გადმოძახა და „საალილოოთ“ წასასვლელათ მოაწყო-გამოამზადა.

მეორე დღეს შობა გათენდა... შვილებს საუზმე ვაჭამე და ყველა ეკლესიაში გავისტუმრე...

ღმერთო ჩემო! რა ბედნიერი ვიყავი, თურმე მაშინ და მე ერ ვაფასებდი, ვერ ვგრძნობდი ამას?! ყველა შემნატროდა... ყველას ეხარბებოდა ეს ჩემი ბედნიერება...

ნანატრივით ერთი ულელი ვაჟი მიდგა გვერდში, ზურგს მიმაგრებდა... უფროსი შვილი, გლეხი კაცის პირობაზე, ცოტა ნასწავლიც მყავდა...

სოფლის შკოლის გათავების შემდეგ, რკინის გზაში მსახურებდა... ჩვენ მშობლებსაც გვპატრონობდა და თვითონაც თავს ირჩენდა.

მეორე,—ივანე კი, შინ-ოჯახის კაცი იყო. მაგარი მუშა. პატიოსანი მშრომელი, მოყვარე თავის საქმისა. რაც ეს ბიჭები წამოგვეზარდენ ჩვენს ოჯახს შიმშილი არ უგრძნია...

არც მამასახლისს, არც მის „ბოჩიკს“ ჩვენი ოჯახი გადასახადისათვის არ გაუგლეჯია, არ შეურცხვენია. პეტრე ყველა გადასახადს თავის დროზე აძლევდა...

სიღარიბეში დაბადებული და აღზრდილი სპირიდონა, საწყალი ჩემი ქმარი, წელში გაწყვეტილი იყო ოჯახის სიღარიბით.

სანამ ეს ბიჭები წამოიზარდნენ, სპირიდონს აწვა კისერზე მტერიც და მოყვარეც, ოჯახის ავიც და კარგიც. წამოიზარდენ ბიჭები. ჩვენც წელში გავიმართეთ... მეზობლებმაც სულ სხვა თვალით დაგვიწყეს ცქერა.

გუშინ თუ სხვის ადგილებში ვმუშაობდით, დღეს თვითონ ჩვენ გავიჩინეთ ჩვენი საკუთარი მიწა-ადგილები... ზოგი პეტრემ იყიდა, ზოგიც დავიწინდეთ და ასე თვალდათვალ ჩვენი ოჯახი წარმატების გზაზე დავაყენეთ, მაგრამ აგერ, გავარდა ხმა...

ომი!.. თათარმა ომი გამოგვიცხადაო.

ყველას თავზარი დასცა ამ ამბავმა, ყველა ჩააფიქრა.

უფროსი ჩემი შვილი, პეტრე „ზაპასნი“ იყო. იგი ყოველთვის ამბობდა: თუ ომი იქნა—წამიყვანებენო. მაგრამ მეორე შვილისა კი არ მეშინოდა. მეგონა, იმას არ წამართმევდენ მეთქი.

მაგრამ, ვაი შენს დედას შვილო!

ისიც წამართვეს. წაიყვანეს. ობლათ დამაგდეს...

დღეს ორივე, ჩემი ბიჭები ბრძოლის ველზე დგას, მტერს ეომება. მე, რა უნდა ვქნა, რა მეშველება?! ამბობდა თავისთვის ელენე და ფიქრებში გართული საქმეს უთავ-ბოლოთ აკეთებდა.

ხან ცეცხლზე მიდგმული ქოთანი წაექცეოდა ხოლმე, ხან წყლით სავსე ქვაბს ფეხს წამოკრავდა და დაღვრიდა, ხან რას ჩადიოდა და ხან რას...

— ქალო, რა დაგემართა?! რა ღმერთი გიწყრება?! ეკითხებოდა სპირიდონა.

— რა ვქნა?.. ფიქრები მტანჯავენ, მაწუხებენ!

ღმერთმანი არ ვიცი, სად ვარ, რას ჩავდივარ!.

— რა უბედურებას ფიქრობ?. რას ფიქრობ ამდენს?.

— განა ცოტა გვაქვს დასაფიქრებელი?.

— მერე რას უშველის შენი ფიქრი და გულის ტკივილი.

ჩვენი ოჯახის უბედურობას?!

— თუმცა არაფერს, მაგრამ ამით, ნაღვლით სავსე გულს ცოტა საღავათი ეძლევა.

წუხელი ჩემს თვალებს ძილი არ მიეკარებია. სიზმრებმა გადამრიეს...

გამთენიას—ცოტა მიმეძინა და კიდევ პეტრე დამესიზმრა;

ვაი მის დედას! ვითომ ორივე ფეხი მოეჭრათ. ერთს ადგილას ეგდო ვერ ინძრეოდა...

რამდენი ვკითხე —პასუხი არ მომცა. ყველას ზიზღით გვიყურებდა...

შენთვის მაინც სულ არ შემოუხედნია.

მე კი წყრომით, რაღაც მითხრა. ძლივს გავარკვიე ორი სიტყვა: „მათხოვარი მათხოვარი ვიქნებით“...

ვაი შენს დედას! ვაი ამ სიტყვების გამგონეს?!

უცებ შევკივლე და გამომეღვიძა კიდეც...

კარგი ელენე! მაგას თავი დაანებე. გუშინ ჩვენი თადეოზი თავის ბიჭს მოელოდა „სალდათობიდან“. გადადი, ჰკითხე,—ეგებ იცის რამე ჩვენ ბიჭებზე.

— შენ, ვინ გითხრა მოელისო!

თვითონ! თვითონ თადეოზმა მითხრა. დღეს ან ხვალ უხათუოთ უნდა მოვიდესო.

შენ ქვაბში წყალი ჩაასხი და ცეცხლზე შემოკიდე.

მე ამ ღორს გავფუცქნი და მოვხარშავ. ახლავე წადი და შეიტყვე, ეგებ იცის რამე! თურმე რაც წავიდენ წერილი არ მოუწერიათ, ვინ იცის ეგებ მკვდრებია ორივე?!

უთხრა სპირიდონმა თავის მეუღლეს და მეზობლისაკენ გაისტუმრა.

ღამდებოდა... ყველა თავთავის საქონელს ან ეზოში მიერეკებოდა და ან საჩიხეში ამწყვდევდა. თადეოზის ცოლი ნინო ღორებს ამწყვდევდა. თადეოზს კი ხარები საჩიხეში შეერეკა და კარებს კეტავდა, რომ ორივე ცოლ-ქმარს ელენე მოუახლოვდა და ,,საღამო მშვიდობისათი'' მიესალმა.

ერთმანეთს ამბავი ჰკითხეს და ელენე ოჯახში მიიპატიჟეს...

გზაში ელენემ თადეოზს ჰკითხა.

— თადეოზ! თქვენი ბიჭი ხომ არ ჩამოსულა?

— კი, ჩამოვიდა. ამ დილას მოვიდა, მაგრამ სალაპარაკოთ არც კი მინახავს. დაღლილია—სძინავს.

ნეტავი თუ რამე გითხრა ჩემი შვილების შესახებ?!

— სრულებით არაფერი! არ გეუბნები—არ გვინახავს მეთქი სალაპარაკოთ. წამობრძანდით და ვკითხოთ, ახლა ამდგარი იქნება.

თადეოზის ბიჭის დანახვაზე, ელენეს ცრემლები წამოუვიდა.

„სალდათის'' ტანისამოსში გამოწყობილმა პირმა თავისი შვილები გაახსენა და ცრემლებს ქვითინიც მიაყოლა.

ელენეს ქვითინმა და მწარე ცრემლებმა ახალგაზრდა „სალდათიც“ აატირა. იმას ეგონა, თუ ელენემ იცოდა მისი შვილების ამბავი. და ელენეს ქვითინს ბოლოს იმანაც ბანი მისცა.

დიდხანს შესტიროდენ ერთმანეთს ასე უსიტყვოთ ცრემლების ღვრით.

სიტყვა ვერ ეთქვათ ერთმანეთისათვის. ბოლოს ელენემ ჰკითხა:

— შვილო, მითხარი, მითხარი რამე ჩემი შვილებისა?

— რა უნდა გითხრა, ბიცოლა ჩემო! საიმედოო ვერაფერს გეტყვი!.

თქვენ არაფერი ამბავი მოგსვლიათ?.

— არაფერი, შვილო!

— მაშ, რაღა დაგიმალოთ! პეტრე აღარ გვყავს, ჩემო ბიცოლა!

სთქვა და მორთო დედაკაცივით ქვითინი. იგი ერთ ომში დასჭრეს... ორივე ფეხები მოჰრეს. ოპერაცია ვერ გადიტანა... მოკვდა.. ივანე კი უგზო უკვლოთ დაიკარგა... არავინ[არ] იცის, ცოცხალია, თუ მკვდარი...

— ვაი და ვუი შენს დედას, შვილებო!

მიაკივლა დედა ელენემ და უგრძნობლათ მიწაზე გაიშოტა. ელენეს კივილზე მეზობლები შემოცვივნდენ.. ცოცხალ-მკვდარი ელენე თუმც გონზე მოიყვანეს, მაგრამ გუშინდელი ელენესი-კი მარტო სახე და დარჩენილიყო. ამის შემდეგ იგი არავის ხმას არ სცემდა. გაჩუმებული დადიოდა. რა ექიმები, რა წამლები, რა გამოლოცვა არ იხმარა საბრალო სპირიდონამ, მაგრამ ელენე სულ უარესათ ხდებოდა. ბოლოს ოჯახსაც ზურგი უქცია და უთავბოლოთ წოწიალს მიჰყო ხელი.. ხშირათ თავისთვის მარტო, სოფლიდან სოფელში ან ტყეში წავიდოდა და სადაც დაუღამდებოდა-ქვევსადმე ხის ქვეშ, გაითენებდა ღამეს...

თეოფ. ხუსკივაძე.

იმედიანი ფიქრები!..

(ესკიზი).

...შობის ცივი, ღრმა საიდუმლოებით და იდუმალებით აღსავსე მშვიდი, ნელი ღამე იყო... ცის ეთერი მნათობთა ცეცხლის ღრმა ზღვაში ღელავდა. აქა—იქ ამაყად მიმავალ თეთრ ღრუბელთა ვეებერთელა კოშკებ შორის ზანტად მცურავი მთვარე, მიჯნურთა ტრფობა—ალერსის მოწამე და ნათელკაშინიანი პირ-ბრწყინვალე ქათქათა მთვარე უხვად ჰფენდა მთელმთავ არე-მიდამოს, ყრუ და მიწის ცივ მკერდს თავისი სხივთა კამკამა ნაკადულს..

ეძინა საქართველოს ერთ პატარა ქალაქს, დღიური შეუწყვეტელი მოძრაობით დაღლილ-დაქანცულს...

ეძინათ მცხოვრებთ... ირგვლივ მეფობდა ყრუ. ცივი სამარისებური სიჩუმე, იდუმალება... სდუმდა ყოველი...

იდგენ უძრავად, გაბუტულად, პირ მქისედ, ობოლი ხეებიც, რომლებსაც შემოდგომის ცივ დღეების ძალით დაუკარგავთ ჩვეული, ძველი სილამაზე, სიტურფე და მიმზიდველობა.. აგერ, ქალაქის მიძინებულ ბაღში, ნაცნობი, მაღალი, სწორი, მსხვილ ტოტებიანი მუხა, რომლის ფართო წყვდიად ჩრდილ ქვეშ ხშირად ისვენებდენ [illegible] ზაფხულის ცხელ დღეებში საზაფხულო თეთრ სამოსლით მორთული ახალგაზრდები; მუხა, რომლის უზრუნველი ნიავის ფრთათა ალერსით შერხეული მწვანე, ფართო ფოთოლთ მწუხრი შრიალი ნაზად მიმავალ მდინარის ტალღათა ნელ შხუილს წააგავდა.. და ცხლა კი ის მუხა ობლად იდგა, თითქოს სიოს ალერსიანი საოცნებო სიძილისპირო ტკბილ ზღაპრების სმენით ღრმა ძილს მისცემოდა!..

ღამის თეთრ ჩრდილის სარეცელზე სთვლემდა გაძარცული ბუნება...

არ ეძინა მხოლოდ ერთ ნორჩ ახალგაზრდას.. არ ეძინა ჭაბუკ გიმნაზიელ ვანოს. მის თვალებს რული არ ეკარებოდა... განმარტოებით, ვით მწირი-ობოლი, ვინმე ყარიბი, მოშორებული ირგვლივ ყოველივეს, ნაცნობ მახლობელთ, თვით ცხოვრებაზე გულაცრუებული, იჯდა ვანო ხალვად, უთვისტომოდ ქალაქის ბაღში და ნაღვლიანად, შავ ფიქრთა ნისლით მოცული ოცნებით გაჰყურებდა მდუმარე სივრცეს... დუმილს დაეპყრო მისი სული, გრძნობა, გონება და აზრი... დიდი ხანი იჯდა ვანო უძრავად, გაყინული ერთს ადგილას და ღამის წმინდა ჰაერის სპეტაკ სურნელებით სუნთქავდა... მას ეს მარტოობა, მოწყვეტილობა ახალისებდა... შვებას ჰგვრიდა...

ვანოს სულით და გულით უყვარდა ხალვათ ყოფნა. ის შეტრფოდა მშვიდ, ჩუმს, საიდუმლოებით აღსავსე საოცნებო თეთრ ღამეებს, როდესაც ღამის სუნთქვის შავ ნისლთა ჩრდილ მოდებული და ხან კი მნათობთა შუქის თეთრ სხივებით ქსოვილ ზეწარში ხვეული ღრმა ძილს მიცემულ ქალაქში სრული იდუმალება და მშვიდობიანობა გამეფდებოდა. მაშინ იგი სტოვებდა ყველაფერს და გამოდიოდა ქალაქში, რომ მისი მეოცნებე, ობოლი სული დამტკბარიყო მშობელ ქვეყნის ძილს მიცემულ გრძნეულ ბუნების წარმტაცი მშვენიერების ხილვით, ხანგრძლივი ცქერით და ყურთა სმენა დაეტკბო ბუნების ღვთიური ჩანგის სათუთ სიმთა ტკბილ ჰანგებად მსხვრეულ მელოდიური, გრძნობის დამპყრობი ხმის სმენით... მაშინ მის ნორჩ ლაწვებზე სიამის ტურფა ვარდი იშლებოდა... გული მშვიდათ ძგერდა, სული კი ალტაცების ნექტრის სიტკბოს მწყურვალედ ეწაფებოდა..

ვანოს უყვარდა ოცნება თავისი ტანჯული, ღვიძლ შვილთა სისხლის უძირო, უსაზღვრო ოკეანეში მცურავ სამშობლო ქვეყანაზე; უყვარდა ფიქრი ცხოვრებაზე, კაცთა ყოფნის შინაარსზე, კაცობრიობის არსებობის მიზანზე, თავის თავზე, თავისი მომავალი ცხოვრების წუთებზე!.. ვანოს მარად თვალწინ ნათლად ედგა თავისი ქვეყნის საშინელი სურათები სამშობლოს კვნესა, ოხვრა, მწუხარება და სივაგლახე, მისი ტანჯვა და მწუხარება იყო. ის შეჰხაროდა, შეტრფოდა, ღვთაებრივი, ჯადოსნური სილამაზით შემკულ დაჯილდოებულ სამშობლოს, რომელმაც მისი სული ესრე მგრძნობიარედ გახადა...

ის შეტრფოდა იმ ქვეყანას, რომლის მარადიული, შეუწყვეტელი პატიჟ—წვალებამ მისი გული ტანჯვის სახმილს შეაჩვია და თვალებს ცრემლთა ნაკადულის ფრქვევა ასწავლა!..

ვანოს თვალები ხედავდენ თავისი სამშობლოს ყოფა არსებობის ბნელ, შემზარავ, შემძრწუნებელსა და ვაგლახ დღეებს... ის გრძნობდა, თუ რა იყო საჭირო დაცემულ, ძველი, ძლიერება დაკარგულ ქვეყნის ასაყვავებლად, გასაფურჩქნელად და სასიცოცხლოდ და მას სწადდა, წყუროდა, სურდა მთელი მისი სიცოცხლით აღსავსე ჭაბუკ არსების ცოცხალი ძალ—ღონე მისდამი წრფელ სამსახურისთვის შეელია, თავის „მე“ სამშობლოს წინაშე ფიანდაზად, მტლად გაეგო, თავი თვისი არმაღნად შეეწირა!..

ვანოს სძულდა, სძაგდა, ეზიზღებოდა და ეჯავრებოდა თანამედროვე ცხოვრება, მთელი მისი ჭუჭყით და ტალახით...

მთელი ხილული საწუთრო ჯოჯოხეთად ჰქონდა წარმოდგენილი, თვით ცხოვრება ტანჯვის სასტიკ ზღვად; მომაკვდავი, ბუნების ძალთა წინაშე უმნიშვნელო ჭია ადამიანი-კი ავ-სულად, დემონად, ის თვლიდა, რომელიც ყოველ წუთს მზად არის თვისი მეგობარი გროშზე გაჰყიდოს, გასცვალოს, გასცეს, მოატყუოს, გაჰყიდოს ისე, ვით იუდამ გაჰყიდა ჭეშმარიტების, სიმართლის, სიყვარულის და რწმენის სიმტკიცე—სისპეტაკის ღვთაებრივი განსახიერება ქრისტე—ღმერთი!..

დიახ, ადამიანი ცრუ, მახინჯი, ცბიერი, გაუტანელი, ფლიდი, მოღალატე, შურიანი და დაუნდობელია.

„ნუ თუ“ ამბობდა ვანო, „მომავალში მაინც არ იცვლის ფერს ცხოვრება და ადამიანი? ნუ თუ, აწმყოში უარყოფილი, ფეხით გათელილი, ყოველივე მნიშვნელობას მოკლებული სიმართლე, ჭეშმარიტება და სიყვარული მომავალში მაინც არ გაიმარჯვებს და ისევ ისე მხოლოდ შური, მტრობა, ღვარძლიანობა, შუღლი, ღალატი, სიცრუე და ცბიერობა და ვნება იმეფებს?

ნუ თუ ფესვებიანად არ ჩაფერფლდება სიმართლე სიყვარულის გუზგუზა ცეცხლის მორევის ფიკერზე მაინც ბოროტება?

ნუ თუ არ მოეღება ბოლო ავი დემონის საზარელს, ჯოჯოხეთურსა და შურიან ხარხარს? იმ დემონის, რომლის ძალა დაპატრონებია დღეს მთელ მსოფლიოს? ნუ თუ არ შეიცვლება ყოფნის ძველი ნიადაგი?

ნუ თუ მომავალი ცხოვრების შინაარსიც ისევ უსამართლობაზე იქნება აგებული?..

...„ან ვინ, რა ვარ თვით მე? როგორი იქნება ჩემი მომავალი?

ნუ თუ ისე მშთანთქავს, წარმიტაცებს, წარმილეკს, ძუნწი, ულმობელი, მკაცრი ცხოვრების ჩქარი ჭუჭყიანი ტალღა, ისე მომწყვეტს ჭაბუკს მიწას გულ-მკერდიდან და სრულებით ხან-მოკლე სიცოცხლის შემდეგ ისე უდროოდ ჩამკლავს, ჩამმარხავს, ჩამასამარებს თავისი აშმორებული წუმპეში, რომ ჩემი ერის, ხალხის, სამშობლოს წინ-სვლაში, აღორძინება-აყვავებაში ჩემი უმნიშვნელო, მცირე წვლილი მაინც ვერ შევიტანო და ვერც ვიხილო ახალი იერი მომავალი კაცობრიობისა?

ვინ ვარ ამჟამად? რას წარმოვადგენ ამ ქვეყნად მოარსებე არსთა შორის?

რა არის უმთავრესი და უმნიშვნელესი მიზანი, დანიშნულება ჩემი პირადი ყოფა ცხოვრებისა?..

ცხოვრება ხომ ბრძოლაა? მაგრამ შევძლებ კი მე მას შევებრძოლო, გავწიო წინააღმდეგობა, გავუმკლავდე მის სიდუხჭირეს, სიმძაფრეს და სისასტიკეს, ჩემი მიზნის მისაღწევად?

შეისხამს ოდესმე მაინც ფრთებს ჩემი ოცნების და ფიქრის საგანი, ჩემი სწრაფვა? შევძლებ მე განვახორციელო მომავალში ჩემი იდეალი, თუ იგი მხოლოდ ოცნებად და ისევ იდეალად დარჩება...

ან როგორია ის გრძნობა რომელსაც სიყვარულს უწოდებენ? მერე, სუფევს თუ არა ნამდვილი, უმწიკვლო, ჭეშმარიტი, წრფელი და უანგარო სიყვარული, თუ იგი მხოლოდ დროებითია, მხოლოდ წუთიერი გატაცება და წარმავალი, ვით ზამთრის თოვლი, ან ვით ნაზი სიზმრები ნაზი ქალწულისა?!...“

ასეთი ფიქრები ვანოს ხშირი სტუმარი იყო მოსვენებას არ აძლევდენ მას. მაგრამ მისი ნორჩი არსება სრული მტკიცე იმედით იყო აღსავსე, მის თვალთა ზღვის სიღრმეში იმედის ნაპერწკლები ღვივოდენ.

ვანოს სწამდა, რომ დადგება დრო, მოვა ჟამი, როს გამარჯვება დარჩება იმას რაც აწმყოში, თანამედროვე ცხოვრებაში კაცთა სიავით უარყოფილი, განდევნილი და ფეხით გათელილია... ვანოს სწამდა, რომ გაიმარჯვებს სიმართლე, პატიოსნება, სიკეთე, ჭეშმარიტება და სიყვარული, რომლის ღვთაებრივი განსახიერებაც იყო ის, ვინც ერთს მშვენიერ ღამეს იშვა ბეთლემში და რომელიც მხსნელად მოევლინა ცოდვილ ადამიანს..

ახალგაზრდა გიმნაზიელის მეოცნებე და მგრძნობიარე სპეტაკი სული შენატროდა იმ დროს, როს გაფანტული იქნება შემზარავი წყვდიადი მომაკვდავ არსთა ბოროტებისა და ამოანათებს კაცობრიობის განახლებულ, წმინდა, უმწიკვლო ცხოვრების ბრწყინვალე განთიადი!..

...ჭაბუკი ისევ ქალაქის ბაღში იჯდა და ჩვეულ, ნაცნობ ფიქრთა ბურუსით გარემოცული გასცქეროდა მდუმარე სივრცეს...

მ. ანაშვილი.

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე

მოწოდება

ამ თვის 27 რიცხვს, დღის 11 საათზე, ქუთაისში მთავრობის ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის ყველა სახელწოდებისა და ტიპის დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების დამფუძნებელი საორგანიზაციო კრება, რასაც საზოგადოების დამაარსებელნი აუწყებენ მასწავლებლებს და სთხოვენ დაესწრონ ამ კრებას. 4—4